მოდული

იტალიის საელჩოს საქართველოში
ჩიტაძის ქ. 3ა
0108 თბილისი
საქართველო

საგანი: სპონსორობის შეთავაზება 2026 წლის იტალიური სამზარეულოს მსოფლიო კვირეულისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე.

მე, ქვემორე ხელისმომწერი ----------,
----------ის უფლებამოსილი წარმომადგენელი (მისამართი: ---------- ---------- საიდენტიფიკაციო კოდი ---------- ვაცხადებ, რომ

- გავეცანი განაცხადს "2026 წლის იტალიური სამზარეულოს მსოფლიო კვირეულისადმი მიძღვნილ ღონისძიებების სპონსორობის თაობაზე";
- ვეთანხმები აღნიშნული შეტყობინებით განსაზღვრულ ყველა პირობას;
- ვაცნობიერებ, რომ სპონსორობა გულისხმობს **ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების, ფინანსური მხარდაჭერის და სერვისების მიწოდებას** (<u>მიუთითეთ სავარაუდო ღირებულება</u>);

და გთავაზობთ გავხდე სპონსორი განაცხადში გაწერილი მიზნების მისაღწევად და შესაბამისად ვხდები პასუხისმგებელი მივიღო ღონისძიებაში მონაწილეობა შემდეგი სახით:

შემოთავაზებული პროდუქტების, სერვისების სავარაუდო ღირებულება და ფინანსური მხარდაჭერის ოდენობა:

წინამდებარე დაფინანსების წინადადება გაგზავნილია ელ. ფოსტის შემდეგ მისამართზე: primosegr.tbilisi@esteri.it. თან ვურთავ ჩემი პირადობის დამადასტურებელ მოქმედ დოკუმენტს.

ადგილი, თარიღი ხელმოწერა

---------- ----------

დანართი 1

რეკვიზიტების ერთადერთი დოკუმენტი
პირველი ნაწილი
გამოთიშვის მიზეზები

ა: ნასამართლეობასთან დაკავშირებული მიზეზები
შერჩევის პროცესიდან გამოეთიშება ის კანდიდატი, ვინც მსჯავრდებულ იქნა სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახით იტალიაში ან იმ ქვეყანაში სადაც იმართება შერჩევა, ერთი ან რამოდენიმე ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზით: (1) კრიმინალური ორგანიზაციის წევრობა, (2) კორუფცია, (3) თაღლითობა, (4) ტერორისტული დანაშაულები ან ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულები, (5) კრიმინალური საქმიანობით მიღებული ფულის გათეთრება ან ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსება, (6) არასრულწლოვანთა დასაქმება და ადამიანთა მანიპულაციის სხვა ფორმები, (7) ნებისმიერი სხვა ტიპის დანაშაული, რაც შესაძლოა გახდეს საჯარო ადმინისტრაციულ ორგანოებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარების დაბრკოლების მიზეზი. შერჩევის პროცესიდან გამოთიშვის სერიოზული გარემოებები გათვალისწინებულია იტალიის კანონმდებლობით, ისევე როგორც:

- ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, შიდა ნორმატივაში მითითებული სიტუაციები, რომელმაც მოიცვა ევროკავშირის 2014/24/UE დირექტივის 57-ე მუხლი;
- ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში, ადგილობრივი სისხლის სამართლის ნორმატივით გათვალისწინებული ანალოგიური სიტუაციები.

ეკონომიკური ოპერატორი, მისი მმართველობითი თუ ზედამხედველობის ორგანოს წევრი, ეკონომიკური ოპერატორის მხრიდან წარმომადგენლობითი, გადაწყვეტილების მიღებისა და კონტროლის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი არ უნდა იყოს ნასამართლევი ერთ-ერთი ზემოხსენებული მიზეზით არა უმეტეს 5 წლით ადრე გამოტანილი საბოლოო განაჩენით ან ამ განაჩენით დადგენილი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდი არ უნდა იყოს კვლავაც ძალაში.

ბ. გადასახადების ან სოციალური უზრუნველყოფის სავალდებულო შენატანების გადახდასთან დაკავშირებული მოტივები
ეკონომიკურმა ოპერატორმა შეასრულა ყველა ვალდებულება გადასახადების, მოსაკრებელის ან სოციალური უზრუნველყოფის სავალდებულო შენატანებთან დაკავშირებით იმ ქვეყანაში, სადაც დაფუძნებულია, იტალიაში და იმ ქვეყანაში სადაც შერჩევა იმართება.

გ. გადახდისუუნარობის, ინტერესთა კონფლიქტისა და პროფესიულ გადაცდომებთან დაკავშირებული მოტივები

1) ეკონომიკური ოპერატორს (რამდენადაც მისთვის ცნობილია) არ დაურღვევია სამუშაოზე ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, გარემოსდაცვის, სოციალური და შრომის ნორმატივებით განსაზღვრული ვალდებულებები.
2) ეკონომიკური ოპერატორი არ იმყოფება არცერთ ქვემოთ ჩამოთვლილ სიტუაციაში და არ ექვემდებარება ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელიმე მდგომარეობის გადამოწმების პროცედურას:

   ა) გაკოტრება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, ლიკვიდაცია, კრედიტორებთან პრევენციული შეთანხმება, ქონების გარე კონტროლი ან სხვა ანალოგიური სიტუაცია;
   ბ) საქმიანობის შეწყვეტა.
3) ეკონომიკური ოპერატორი არ უცვნიათ დამნაშავედ მძიმე პროფესიულ სამართალდარღვევებში;
4) ეკონომიკურ ოპერატორს არ გაუფორმებია ხელშეკრულებები სხვა ჩართულ ეკონომიკურ ოპერატორებთან, კონკურენციის გაყალბების/დამახინჯების მიზნით;

5) ეკონომიკური ოპერატორისათვის არ არის ცნობილი შერჩევის პროცედურაში მის მონაწილეობასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტის შესახებ;
6) ეკონომიკურ ოპერატორს აქამდე არ ჰქონია საჯარო ტენდერის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამოცდილება და არც დაუკისრებიათ რაიმე სახის ზარალის ანაზღაურება, ჯარიმა ან სხვა სახის სანქციები წინა საჯარო ტენდერთან დაკავშირებით;
7) ეკონომიკური ოპერატორი ადასტურებს რომ:

   ა) არასოდეს მხილებულა შერჩევის კრიტერიუმების დაცვის ან გამოთიშვის მოტივების არარსებობის გადასამოწმებლად მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდებისას ყალბი განცხადებების წარდგენაში;
   ბ) მისი მხრიდან მსგავსი ინფორმაციის დაფარვას არ ჰქონია ადგილი;
   გ) შეძლო დამკვეთის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის დაუყოვნებლივ გადაცემა;
   დ) უკანონოდ არ უცდია დამკვეთის გადაწყვეტილების მიღების პროცედურაზე გავლენის მოხდენა, არ უცდია კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, რამაც შესაძლოა მას უპირატესობა მიანიჭოს ტენდერის პროცედურებში, არ მიუწოდებია მცდარი ინფორმაცია, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ტენდერის პროცედურასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაზე.

დ: იტალიის კანონმდებლობით გათვალისწინებული გამორიცხვის მოტივები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ანალოგიური სიტუაციები.

ეკონომიკური ოპერატორი არ იმყოფება არცერთ ქვემოთ ჩამოთვლილ სიტუაციაში:

1) ანტიმაფიის კანონმდებლობით გათვალისწინებული ჩამორთმევის, შეჩერების ან აკრძალვის მიზეზების არსებობა.
2) ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეობა.
3) საქმიანობის განხორციელების აკრძალვა ან სხვა სანქცია, რომელიც კრძალავს საჯარო სექტორთან ხელშეკრულების დადებას.
4) რეგისტრირებულია ანტიკორუფციული ეროვნული ორგანოს ელექტრონულ რეესტრში საკვალიფიკაციო მოწმობის გაცემის მიზნით ყალბი დეკლარაციის ან ყალბი დოკუმენტაციის წარდგენისათვის, იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც გრძელდება რეგისტრაცია.
5) დაარღვია "ფიდუციური მოვალეობების" აკრძალვის წესები.
6) არ იცავს შშმ პირთა შრომის უფლების წესებს.
7) თუკი გახდა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ან ორგანიზებული დანაშაულის ხელშემწყობი პირისგან გამოძალვისა და შანტაჟის მსხვერპლი და არ განაცხადა აღნიშნული ფაქტის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ უწყებებში.
8) კონტრაქტორის არჩევის პროცედურების მიმდინარეობის მომენტში სხვა მონაწილეებთან შედარებით იმყოფება უპირატეს მდგომარეობაში, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ნებისმიერ ურთიერთობაში, თუნდაც დე ფაქტო, თუკი არსებობს კონტროლის შესაძლებლობა ან ურთიერთობა ნიშნავს რომ შეთავაზებები მიეკუთვნება გადაწყვეტილების მიღების ერთადერთ ცენტრს.
9) გააფორმა შრომითი ან ავტონომიური სამუშაო ხელშეკრულება ან მისცა დავალებები დამკვეთის ყოფილ თანამშრომლებს, რომლებმაც თავიანთი სამუშაო ურთიერთობა სამ წელზე ნაკლები პერიოდის წინ გაწყვიტეს და რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში დამკვეთის სახელით ახორციელებდნენ ავტორიტეტულ და მოლაპარაკებების წარმართვის უფლებამოსილებას იმავე ეკონომიკური ოპერატორთან მიმართებაში (*pantouflage* ο *revolving door*).

მეორე ნაწილი: დასკვნითი განცხადებები

ქვემორე ხელისმომწერი ოფიციალურად აცხადებს, რომ პირველ ნაწილში მოცემული ინფორმაცია არის ჭეშმარიტი და უტყუარი და რომ მისთვის ცნობილია ყალბი განცხადების შემთხვევაში დამდგარი შედეგების, მათ შორის იტალიური და ადგილობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

ქვემორე ხელისმომწერი ადასტურებს I ნაწილით გათვალისწინებული გამორიცხვის საფუძვლის არარსებობას.

ქვემორე ხელისმომწერი ოფიციალურად აძლევს უფლებას დამკვეთს, გადაამოწმოს რეკვიზიტებთან დაკავშირებული ინფორმაციის უტყუარობა კომპეტენტურ უწყებებში.

ქვემორე ხელისმომწერი გამონაკლისების გარეშე ეთანხმება შეტყობინებაში გაწერილ დებულებებსა და პირობებს.

ადგილი და თარიღი ---------—————-

ხელმოწერა ----------

ინფორმაცია ფიზიკურ პირთა დაცვისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

ევროკავშირის რეგულაცია (UE) 2016/679, მე-13 მუხლი.

წინამდებარე საინფორმაციო ბარათში, ევროკავშირის რეგულაციის UE 2016/679 (GDPR) თანახმად, მოცემულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესები. ზემოხსენებული ნორმატივის, თანმდევი უფლებებისა და ვალდებულებების დაცვიდან გამომდინარე, გაცნობებთ რომ:

1. მონაცემთა დამმუშავებელი – მონაცემთა დამმუშავებელია იტალიის საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის სამინისტრო (MAECI C.F.80213330584), დროებითი მოვალეობის შემსრულებლის კანონიერი წარმომადგენლის სახით, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს თბილისში იტალიის საელჩოს მეშვეობით, ელ.ფოსტა: urp@esteri.it; PEC: ministero.affariesteri@cert.esteri.it;
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ ელ. ფოსტის მისამართზე: rpd@esteri.it; PEC: rpd@cert.esteri.it;
3. მონაცემთა დამუშავების მიზნები – პერსონალური მონაცემების დამუშავება და შეგროვება ხდება შემდეგი მიზნით;

   ა) ბუღალტრულ-ადმინისტრაციული მიზნებიდან გამომდინარე დაინტერესებული პირის წინასახელშეკრულებო მოთხოვნის (როგორიცაა მეწარმეთა რეესტრში რეგისტრაცია), ნაკისრი ვალდებულებისა და მისი შესაძლო შესრულების შესაფასებლად;

   ბ) კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად (როგორიცაა ფულის გათეთრების გადამოწმება, საგადასახადო მიზნით კომუნიკაციის დამყარება), ევროკავშირის რეგულაციების და/ან ნორმების, ისევე როგორც კონტროლისა და საზედამხედველო თუ სხვა კანონიერი ორგანოების მიერ გამოცემული ნორმების შესასრულებლად.

4. პერსონალური მონაცემების დამუშავების იურიდიული საფუძველი – "ა" პუნქტში მითითებული მიზნებისათვის, მონაცემების დამუშავება აუცილებელია ხელშეკრულების შესრულებისას, რომლის მონაწილეცაა დაინტერესებული პირი ან ამავე პირის მოთხოვნის საფუძველზე წინასახელშეკრულებო ზომების მისაღებად ევროკავშირის რეგულაციის UE 2016/679 მე-6 მუხლის, I პარაგრაფის, "ბ" ქვეპუნქტის თანახმად. "ბ" პუნქტში მითითებული მიზნებისათვის, მონაცემების დამუშავება აუცილებელია კანონით დადგენილი ვალდებულების შესასრულებად, რომელსაც ექვემდებარება მონაცემებთა დამმუშავებელი და მონაცემების მინიჭება სავალდებულოა ევროკავშირის რეგულაციის UE 2016/679 მე-6 მუხლის, I პარაგრაფის, "გ" ქვეპუნქტის თანახმად;
5. პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და შენახვის წესები - პერსონალური მონაცემების დამუშავება ხდება არაავტომატური და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით (ვებ-გვერდის მართვის პროგრამული უზრუნველყოფა), დაწესებულების მიზნებიდან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის სათანადო დაცვით მოქმედი ნორმატივის შესაბამისად. მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია შეინახოს და შეამოწმოს პერსონალური მონაცემები სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გათვალისწინებით, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი დაკარგვისა და განადგურების რისკები, უნებართვო წვდომა და იმ მიზნებისაგან განსხვავებული შეუსაბამო დამუშავება, რის გამოც მოხდა მათი შეგროვება. კანონიერების, მიზნის შეზღუდვისა და მინიმალიზაციის პრინციპების დაცვიდან გამომდინარე, მონაცემების შენახვა მოხდება მათ დამუშავებამდე და შემდგომაც,

ორგანიზაციის მიერ ნაკისრი (იტალიის საელჩო თბილისში) და კანონით მოთხოვნილი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, რომელიც დაკავშირებულია და გამომდინარეობს ეთიკისა და ქცევის კოდექსის გათვალისწინებით საჯარო არქივების მართვასთან, საარქივო და სტატისტიკური მიზნებიდან გამომდინარე პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად.

6. პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიები – მონაცემები რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის რასობრივ და ეთნიკურ კუთვნილებას (მოქალაქეობის სერთიფიკატის მითითებით), პიროვნების ჯანმრთელობის მდგომარეობას, სქესობრივ ცხოვრებასა თუ ორიენტაციას, პოლიტიკურ შეხედულებებს, პროფესული კავშირის წევრობას, რელიგიურ, ფილოსოფიურ მრწამსსა და სხვა მასთან გათანაბრებულ შეხედულებებს, კვალიფიცირდება როგორც "პერსონალური მონაცემების განსაკუთრებული კატეგორიები", ასევე ნასამართლეობასა და დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული მონაცემები (ევროკავშირის რეგულაციის UE 2016/679 მე-10 მუხლის შესაბამისად). ამ მონაცემების დამუშავდება მოხდება ექსკლუზიურად დაინტერესებული პირის თანხმობით, დაკისრებული მოვალეობისა და ფუნქციების შესრულებისას, ნორმატივიდან გამომდინარე ვალდებულებებისა და წინა, მე-3 პუნქტში გაწერილი მიზნებისათვის და მე-4 პუნქტში დაზუსტებული სამართლებრივი საფუძვლის შესაბამისად.
7. ადრესატები – ორგანიზაციის მიერ დამუშავებული პერსონალური მონაცემები შესაძლოა ეცნობოს უწყებებსა და საჯარო სუბიექტებს მოქმედი ნორმატივის თანახმად, ისევე როგორც ამავე ორგანიზაციის მიერ დანიშნულ მრჩევლებს. დაინტერესებული პირის მიერ მოწოდებული მონაცემები შესაძლოა ეცნობოს ასევე გარე სუბიექტებსაც, მრჩევლებს, იურისტებს, მოწყობილობების, პროგრამული უზრუნველყოფის, ქსელების მართვისა და ინფორმაციული სისტემის (outsourcer) მომწოდებელ კომპანიებს, დოკუმენტების დაარქივებისა და შენახვის სერვისების მომწოდებელ კომპანიებს, მოქალაქეების დახმარებისა და დაცვის სტრუქტურებს, ორგანიზაციებს, ასოციაციებსა და ფირმებს. დაინტერესებული პირი აცხადებს თანხმობას ზემოხსენებული მონაცემებისა და გაფორმებული ხელშეკრულების ძირითადი მონაცემების დამკვეთის საიტზე გამოქვეყნების თაობაზე, საჯარო ხელშეკრულების გამჭვირვალობის შესახებ იტალიური ნორმატივის შესაბამისად.
8. მონაცემების უცხოეთში გადაცემა – 49-ე მუხლის თანახმად, პერსონალური მონაცემები შესაძლოა გადაეცეს მესამე, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს ან საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაშინ როცა მონაცემების გადაცემის აუცილებლობა დგება ხელშეკრულების შესასრულებლად ან დაინტერესებული პირის მოთხოვნის საფუძველზე წინასახელშეკრულებო ზომების მისაღებად;
9. დაინტერესებული პირის უფლებები – დაინტერესებული პირის უფლებები გათვალისწინებულია ევროკავშირის რეგულაციის UE 2016/679 მე-15-დან 22-ე მუხლამდე, მათ შორის: პერსონალური მონაცემების არსებობის შესახებ დასტურის მოთხოვნა. ნებისმიერ დროს იმ მონაცემებზე ხელმისაწვდომობა, რომელიც მას ეხება. მითითებების მიღება მონაცემების დამუშავების მიზნებზე, პერსონალური მონაცემების კატეგორიებზე, ადრესატებსა თუ იმ ადრესატების კატეგორიებზე, ვისაც ეცნობა ან ეცნობება პერსონალური მონაცემების შესახებ და როცა შესაძლებელია, შენახვის პერიოდის შესახებ (მე-15 მუხლი). მოითხოვოს მონაცემების გასწორება, ან იმ შემთხვევაში თუკი მოხდა მონაცემების კანონის დარღვევით, არასრულად ან არასწორად დამუშავება, მათი წაშლა ან დაბლოკვა (მე-16 მუხლი) (მე-17 მუხლი). მოიპოვოს მონაცემთა დამუშავების შეზღუდვა (მე-18 მუხლი). მონაცემების გადატანის (პორტირების) უფლება, ანუ მონაცემთა დამმუშავებლისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და

მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიღება, და მისი სხვა მონაცემთა დამმუშავებლისთვის ყოველგვარი შეფერხების გარეშე გადაცემა (მე-20 მუხლი). ნებისმიერ დროს წინ აღუდგეს საკუთარი მონაცემების დამუშავებას სამართლებრივი საფუძვლით (21-ე მუხლი). წინ აღუდგეს ფიზიკურ პირებთან მიმართებაში გადაწყვეტილების ავტომატიზებულად მიღების პროცესს, პროფილირების ჩათვლით. მოთხოვოს მონაცემთა დამმუშავებელს იმ მონაცემების განახლება, ინტეგრაცია ან შეზღუდვა, რომელიც მას ეხება (22-ე მუხლი). ნებისმიერ დროს გაითხოვოს თანხმობა. თანხმობის გათხოვნა არ ახდენს გავლენას მის გათხოვამდე, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე განხორციელებული დამუშავების კანონიერებაზე. (მე-7 მუხლი). საჩივრით მიმართოს საზედამხედველო ორგანოს, კერძოდ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში სადაც ჩვეულებრისამებრ ცხოვრობს, მუშაობს ან იმ ადგილას სადაც შესაძლო დარღვევას ჰქონდა ადგილი. იტალიაში აღნიშნული ორგანოა "პერსონალური მონაცემების დაცვის გარანტი", რომელიც კანონის საფუძველზე 1996 წლის 31 დეკემბერს n. 675 (http://www.garanteprivacy.it/) დაარსდა (77-ე მუხლი). ზემოაღნიშნული უფლებების გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ დროს მონაცემთა დამმუშავებელთან წერილობითი კომუნიკაციის გზით, პირველ პუნქტში მითითებულ ელ.ფოსტის მისამართზე.

ადგილი და თარიღი:

დაინტერესებული პირის ხელმოწერა და თანხმობა
პერსონალური მონაცემების დამუშავების თაობაზე
_____